ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
სხდომის ოქმი N1

ქ. ლანჩხუთი **18.01.2022 წ**

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი იმნაიშვილი.**

კომისიის წევრები: ზაზა წულაძე, ელისო ჭიჭინაძე, კახა თედორაძე, გიორგი გოგუაძე, ჯუმბერ ბლაგიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: სპარტაკ კვაჭაძე, ლოლიტა ურუშაძე, ემზარ თევდორაძე, გივი ცინცაძე.

მოწვეული პირი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **ლევან ჩხაიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **რუსუდან გვარჯალაძე.**

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020 -2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან ჩხაიძე/

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020 -2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ,** მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს საპილოტე რეგიონალური განვითარების განსახორციელებელი პროექტების ნუსხა. კერძოდ:

სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებისთვის. (გადმოსახედი, ზიპლაინის, საფეხმავლო და ველოსპორტის ბილიკების, გამოქვაბულისა მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა)1 500 000 ლარი;

ეგნატე ნინოშვილის სახელ-მუზეუმში საგამოფენო დარბაზის მშენებლობა 150 000 ლარი;

ხოლო მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ეგ.ნინოშვილის სახლ-მუზეუმში და გრიგოლეთში 150000 ლარი.

პროექტის სავარაუდო თანხა შეადგენს 1 800 000 ლარს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020 -2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 5 ; თავი შეიკავა: 1 (ჯუმბერ ბლაგიძემ).

სხვადასხვა:

1. **დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ამ დღეებში თოვლია და მოყინულია გზები. სამწუხაროდ ქუჩებში არ ჩატარებულა გზების ლიპყინულისაგან გამწმენდი სამუშაოები. დაინტერესდა რატომ არ გაიწმინდა ქუჩები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ სამწუხაროდ სტიქიის საწინააღმდეგო და მსგავსი სამუშაოების მიზნით გამოცხადებული ტენდერი არ შედგა, ჩაიშალა.

2. **დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ პრიორიტეტების დოკუმენტი არ არის სრულყოფილად შედგენილი, მასში ზოგადი ფრაზებითაა ჩამოყალიბებული პრიორიტეტები, მაგ შიდა გზების მოხრეშვა ან თუ რომელ სოფელშია სამუშაოები ჩასატარებელი. დოკუმენტში ასევე უნდა იყოს ასახული ლანჩხუთის წყალარინების პროექტი. ასფალტის საფარის დაგების შემდგომ, კანალიზაციის მილების ჩასაწყობად გზები თავიდან უნდა გადაითხაროს.

2012 წლისთვის გაკეთებული გვქონდა ქალაქის წყალმომარაგების და წყალარინების პროექტი 15 მილიონი ლარის მოცულობით, რომელშიც ნატურის სახით ჩადებული იყო ყოფილი ქარხანა ,,გურიას“ გამწმენდი შენობა-ნაგებობა, რომელიც სამწუხაროდ დღეის მდგომარეობით წყალმომარაგების დაწესებულების მიერ გასხვისებულია და დაშლილია, მითუმეტეს პრიორიტეტების შედგენისას უნდა გაითვალისწინოთ, რომ დაგვრჩა კომუნისტების მიერ გაკეთებული 15 ჭაბურღილი, რომელთაგან შვიდში თვითდინებით ამოდის წყალი და რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას მუნიციპალიტეტის ფინანსურ შემოსავლად პესპექტივაში.

3. **დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო სკოლები ონლაინ სწავლებაზეა გადასული, სოფლებში ინტერნეტი ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის. იქნებ მრავალშვილიან და შეჭირვებულ ოჯახებს დავეხმაროთ, ინტერნეტპაკეტის შეძენაში.

4. დეპუტატმა **ელისო ჭიჭინაძემ** განაცხადა, რომ სავალალო მდგომარეობაშია

ლესის და ჯურუყვეთის საექიმო უბნები, გასათვალისწინებელია, რომ კოვიდ პაციენტების მართვა გადადის უბნის ექიმებზე და მათ იქ ელემენტალური საშუშაო პირობები არ აქვს.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი იმნაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N1

ქ. ლანჩხუთი **18.01.2022 წ.**
11.00 საათი

2022 წლის 18 იანვარს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020 -2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: გ.იმნაიშვილი/

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020 - 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“

წარმოდგენილი განვარგულების პროექტი შენიშვნების გარეშე გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იმნაიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

18.01.2022 წელი
11:00 საათზე

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი	10 45	
2.	ემზარ თეოდორაძე	–	არ ესწრებოდა
3.	სპარტაკ კვაჭაძე	–	არ ესწრებოდა
4.	ელისო ჭიჭინაძე	10 50	
5.	კახა თედორაძე	10 55	
6.	ლოლიტა ურუშაძე	–	არ ესწრებოდა
7.	ზაზა წულაძე	10 50	
8.	გიორგი გოგუაძე	10 50	
9.	გიული ცინცაძე	–	არ ესწრებოდა
10.	ჯუმბერ ბლაგიძე	11.00	